CISI

UNIVERSITY OF WARSAW

სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა დისციპლინა

ურსულა მარკოვსკა-მანისტა

დისციპლინა

- **რა არის დისციპლინა?**
- დისციპლინა მოსწავლეთათვის წესების დაცვის სწავლების პრაქტიკაა

მოსწავლეთა ქცევის სირთულეები ხშირად გამოწვეულია არასრულფასოვნების გრძნობით, დემოტივირებით და იმედგაცრუებით.

ეფექტური ფუნქციონირებისთვის ყველა კლასს ჭირდება წესები. ამ „წესებს“ ზოგჯერ „მოლოდინებს“ ან „ქცევის სტანდარტებს“ უწოდებენ.

დისციპლინა არ არის:

- „ჭკუის სასწავლებლად“ ვინმეს ფიზიკური დასჯა;
- სიტყვიერი შეურაცხყოფა;
- ჯოხის გამოყენებით ან სხვა საშუალებებით ფიზიკური ძალადობა.
- უარი ადამიანის ძირითად საჭიროებებზე (ჭამა, საპირფარეშოთი სარგებობა).

Special Needs Issues in Children
MEDICAL
BEHAVIOR
LEARNING
MENTAL HEALTH
DEVELOPMENT
verywell

დისციპლინის 3 ტიპი

მოსწავლეთა დისციპლინა

საკლასო ოთახის რეალობა

პრევენციული დისციპლინა

არეულობის პრევენციის მიზნით საკლასო ოთახის წესების შემუშავება

- წესების კედელზე გაკვრა
- მოსწავლეთათვის წესების ყოველდღიურად შეხსენება
- კარგი ქცევისთვის შექება
- არასასურველი ქცევის შედეგების ვერბალიზება
- დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლე არის მასწავლებლის მხედველობის არეში
- თხოვეთ მშობლებს, ხელი მოაწერონ კლასშ ქცევის წესებს
- წესების აღსრულებაში სკოლის ადმინისტრაციის ჩართვა

მხარდამჭერი დისციპლინა

წესების დარღვევის შემთხვევაში მისაღები ზომები

- არასათანადო ქცევაზე მასწავლებლის მყისიერი და თავდაჯერებული რეაქცია;
- მოსწავლეთათვის კლასში ქცევის წესების შეხსენება;
- სიტყვიერი გაფრთხილება;
- არავერბალური გაფრთხილება;
- მოსწავლის არასათანადო ქცევის გადამისამართება/გადატანა;
- მოსწავლეთა ყურადღების სხვა აქტივობაზე გადატანა;

გამასწორებელი დისციპლინა

მისაღები ზომები, როცა პრევენციული დისციპლინა არ შველის

- არასათანადო ქცევის მქონე მოსწავლესთან ვერბალური კამათი;
- “ამრევი“ მოსწავლის აქტივობისგან დროებით ჩამოშორება ;
- “ამრევი“ მოსწავლის კლასიდან გაშვება;
- სკოლის დირექციის ინფორმირება მოსწავლის არასათანადო ქცევის შესახებ;
- მშობლების ინფორმირება მოსწავლის არასათანადო ქცევის შესახებ;
- მშოლბთან და დირექტორთან შეხვედრის ორგანიზება;

- **მიზნები**

  ქცევის მნიშვნელობის გაგება,

- გაგება იმისა, თუ რა იწვევს ამ ქცევას,

- გავიგოთ, როგორ ვუპასუხოთ ქცევას ისე, რომ ბავსვმა ისწავლოს უკეთესი ქცევა.

ეფექტური საკლასო ოთახისა და პოზიტიური ქცევის ხელშემოწყობი სისტემების კომპონენტები

ურთიერთობები და პოზიტიური სასკოლო კლიმატი	თანამშრომლებს, თანატოლებსა და მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების დაფუძნება, შენება და შენარჩუნება
მოლოდინები და უნარების გაუმჯობესება	გამოყავით, იდენტიფიცირება გაუკეთეთ მოსალოდნელ ქცევას და ასწავლეთ
მოტივაცია/ანგარიშვალდებულება	სასურველ ქცევაზე ანგარიშვალდებულებით, გაუკეთეთ სტუდენტებს ნასწავლი ქცევის დემონსტრირების მოტივირება
თანმომდევრობა/მდგრადობა	იყავით თანმიმდევრული და მყარი ისეთ სფეროებში, როგორიცაა: დრო, მოსწავლე, თანამშრომლები, სიტუაციები, გარემო;
განსაკუთრებული სიტუაციები - გარემო და მოსწავლე	მართეთ პროცესი სხვადასხვა გარემოსთან (ჩვეული სასკოლო სივრცე) ადაპტირების საჭიროებებისა და თანატოლების გავლენის გააზრებით



საკლასო მენეჯმენტი

შექმენით კომფორტული სასწავლო გარემო

ყოფილხართ ოთახში სადაც ბევრი ადამიანი ან ნივთია? მაგალითად ავეჯით გადაჭედილ ოთახში?

თავიდან როგორ გრძნობდით თავს? გარკვეული დროის შემდეგ, როგორ შეიცვალა თქვენი გრძნობები?

თავდაპირველად ბევრი ჩვენგანი შეიძლება გაოცებულიყო, ხოლო მუშაობის დაწყების და ადამიანებთან ურთიერთობის შემდეგ უარყოფითი გრძნობები დაგვუფლებოდა.

შეიძლება დაგვეუფლოს იმედგაცრუება ან ბრაზი, ან შეიძლება კუთხეში მივიდეთ და ვეცადოთ თავი ავარიდოთ სხვებს, ან ნივთებთან შეჯახებას.

საკლასო ოთახებში, სადაც ფიზიკური გარემო არ არის კარგად მოწყობილი, ჩვენს მოსწავლეებსაც შეიძლება ჰქონდეთ იგივე გრძნობები.

მათი არასათანადო ქცევა, შესაძლოა რეაქციაა შიშზე ან იმედგაცრუებაზე.

კარგად დაგეგმილი საკლასო გარემო დაგვეხმარება თავიდან ავიცილოთ არასათანადო ქცევა. ის ასევე დაგვეხმარება საკლასო აქტივობების ეფექტიან განხორციელებაში.

საკლასო მენეჯმენტი

ბევრი მასწავლებლისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ახალგაზრდებთან მუშაობა დაკავშირებულია ერთგვარ ბრძოლასთან

- ბრძოლა ყურადღებისთვის, სათანადო ქცევისთვის ან სასკოლო ვალდებულებების შესასრულებლად.

რა არის საკლასო მენეჯმენტი?

სალასო მენეჯმენტი არის რესურსების, მოსწავლეებისა და ასისტენტების (დამხმარეების) ორგანიზების იმგვარი გზა, რომ სწავლა სწავლების პროცესი ეფექტიანად წარიმართოს.

აქ წარმოდგენილია რამდენიმე საკითხი, რომელზეც უნდა იფიქროთ, როდესაც თქვენს მოსწავლეებთან ერთად საკლასო სივრცეს აწყობთ. ეს სია არ არის სრული. რას დაამატებდით?

- **ყველა იყოს მხედველობის არეში**

თქვენ უნდა გქონდეთ შესაძლებლობა ხედავდეთ ყველა მოსწავლეს ხებისმიერ დროს, რათა აკონტროლოთ მათი მუშაობა და ქცევა.

თქვენ, სამუშაო მაგიდიდან ასევე უნდახედავდეთ კარს.

თქვენს მოსწავლეებს, შემობრუნებისა და ადგილის შეცვლის გარეშე, უნდა შეეძლოთ თქვენი და იმ ტერიტორიის დანახვა, საიდანაც ასწავლით.



Adapted from: Classroom Management – Managing Physical Space. Collaborative for Excellence in Teacher Education (CETP), National Science Foundation. http://www.temple.edu/CETP/temple_teach/cm-space.html

აქ წარმოდგენილია რამდენიმე საკითხი, რომელზეც უნდა იფიქროთ, როდესაც თქვენს მოსწავლეებთან ერთად საკლასო სივრცეს აწყობთ

- **ყველა იყოს მხედველობის არეში** (არ უნდა იყოს გადაჭედილობის შეგრძნება).
- კლასებში, სადაც ბევრი მოსწავლეა, სივრცე ხშირად ფუფუნებაა. იმისათვის, რომ მაქსიმალურად გამოიყენოთ არსებული გამოიყენეთ სამი ძირითადი სტრატეგია: პირველი, გაიტანეთ არასაჭირო ავეჯი.
- მაგიდის ნაცვლად გამოიყენეთ ხალიჩები. გამოიყენეთ კედლის თარეები იმ მასალებისთვის, რომლებზეც მოსწავლეებს არ სჭირდებათ რეგულარული წვდომა.
- თუ თქვენს კლასს აქვს კაბინეტი მოსწავლეების ნივთების შესანახად, სასურველია ისინი გაიტანოთ საკლასო ოთახიდან. თუ შესაძლებელია, შეინახეთ თქვენი ნივთები, გაკვეთილის მასალები და ნებისმიერი სხვა ნივთი, რომელსაც არ იყენებთ გაკვეთილის დროს მასწავლებლის სივრცეში ან კლასის გარეთ სხვა უსაფრთხო ადგილას. თუ ნამდვილად არ გჭირდებათ დიდი ზომის მასწავლებლის მაგიდა, მოითხოვეთ პატარა.



Adapted from: Classroom Management – Managing Physical Space. Collaborative for Excellence in Teacher Education (CETP), National Science Foundation. http://www.temple.edu/CETP/temple_teach/cm-space.html

აქ წარმოდგენილია რამდენიმე საკითხი, რომელზეც უნდა იფიქროთ, როდესაც თქვენს მოსწავლეებთან ერთად საკლასო სივრცეს აწყობთ.

- მეორე სტრატეგია არის, სწავლების პროცესში იყოთ კრეატიულები და გაკვეთილი იყოს ინტერაქტიული, რათა შეამციროთ ხალხმრავლობის განცდა. სცადეთ მიაწოდოთ ინფორმაცია მოსწავლეებს გაკვეთილის პერიოდის მხოლოდ ნაწილის განმავლობაში, მაგალითად 1 საათიანი გაკვეთილიდან მხოლოდ 20 წუთის განმავლობაში და ფოკუსი გააკეთოთ ერთ-ორ შნიშვნელოვან თემაზე ან კონცეფციაზე (მაგალითად, გეომეტრიულ ფორმებზე), ვიდრე მიაწოდოთ ერთდროულად ბევრი ინფორმაცია. ეს არის მოსწავლეების ყურადღების შენარჩუნების მაქსიმალური დრო.
- ამის შემდეგ, დაყავით ბავშვები პატარა ჯგუფებად, სადაც მათ მხოლოდ რამდენიმე სახეს ხედავენ და არა ევრს.
- მიეცით თითოეულ ჯგუფს დამატებითი აქტივობა, მაგალითად, ერთი ჯგუფი ცდილობს მოიფიქროს რაც შეიძლება მეტი მრგვალი საგანი, ხოლო მეორე ჯგუფი ცდილობს მოიფიქროს რაც შეიძლება მეტი კვადრატული საგანი. გაკვეთილის დასასრულს, დააბრუნეთ ისინი და თითოეულ ჯგუფს სთხოვეთ წარმოადგინონ რა ისწავლეს.



Adapted from: Classroom Management – Managing Physical Space. Collaborative for Excellence in Teacher Education (CETP), National Science Foundation. http://www.temple.edu/CETP/temple_teach/cm-space.html

აქ წარმოდგენილია რამდენიმე საკითხი, რომელზეც უნდა იფიქროთ, როდესაც თქვენს მოსწავლეებთან ერთად საკლასო სივრცეს აწყობთ

- მესამე სტრატეგია არის კლასის გარე სივრცის რაც შეიძლება ხშირი გამოყენება. სკოლის მოედანი შეიძლება იყოს ფორმალური სწავლის მდიდარი რესურსი; ისინი გარე საკლასო ოთახებია, რომლებიც ბავშვებს შეუძლიათ გამოიკვლიონ, როგორც სწავლის ნაწილი, და ეს სივრცე უფრო სახალისოა ვიდრე გადაჭედილი საკლასო ოთახი.

- ისინი ბავშვების სოციალური და შემეცნებითი უნარების განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ადგილებია. სკოლის მოედანი გაძლევთ შესაძლებლობას გააძრავალფეროვნოთ ბავშვების სასწავლო გარემო და ჩაატაროთ მნიშვნელოვანი გაკვეთილები თანამშრომლობის, საკუთრების, კუთვნილების, პატივისცემისა და პასუხისმგებლობის შესახებ.
- სკოლის მოედნის სივრცე, საკლასო ოთახში ნასწავლის განსამტკიცებლად, შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა აქტივობებისთვის. მაგალითად, გეომეტრიული ფორმების შესახებ გაკვეთილის შემდეგ, მოსწავლეებს შეიძლება სთხოვოთ, შეისწავლონ სკოლის მოედანი და იპოვონ რაც შეიძლება მეტი გეომეტრიული ფორმა. შემდეგ დასხდნენ ხის ქვეშ და ჩაწეროს რამდენიც იპოვეს.
- თვალყური ადევნეთ მათ პროგრესს! გაკვეთილის დასრულებამდე ათი წუთით ადრე, შეკრიბეთ ისინი, კლასში თუ გარეთ, რათა წარმოადგინონ თავიანთი მიგნებები.



Adapted from: Classroom Management – Managing Physical Space. Collaborative for Excellence in Teacher Education (CETP), National Science Foundation. http://www.temple.edu/CETP/temple_teach/cm-space.html

აქ წარმოდგენილია რამდენიმე საკითხი, რომელზეც უნდა იფიქროთ, როდესაც თქვენს მოსწავლეებთან ერთად საკლასო სივრცეს აწყობთ

- ავეჯი
- თუ საკლასო ოთახში გაქვთ საკმარისი სივრცე, განიხილეთ მოსწავლეთა მერხების მოწყობა სხვადასხვა გზით, მაგალითად დისკუსიისთვის წრეზე ან "U" ფორმით, ჯგუფური მუშაობისთვის -კვადრატულად, ტესტზე ან ინდივიდუალური მუშაობისთვის დალაგეთ მერხები რიგებად.
- განიხილეთ წიგნების თაროების, მაგიდების ან ხალიჩების გამოყენება სპეციალური სივრცეების შესაქმნელად. თუ ოთახს სჭირდება გაყოფა ან მას სჭირდება მეტი „კედელი“ თქვენი სტუდენტების ნამუშევრების გამოსატანად, განიხილეთ იათვი ვარიანტები, როგორიცაა წიგნის თაროების უკანა ნაწილი ან მოსწავლების და მათი მშობლების მიერვე, პალმის ფოთლებისგან/ბამბუკისგან დამზადებული ვერტიკალური ტიხრები/ხალიჩები.
- ეს ტიხრები, კლასის სხვადასხვა სივრცეებად დაყოფაშიც დაგეხმარებათ.

Adapted from: Classroom Management – Managing Physical Space. Collaborative for Excellence in Teacher Education (CETP), National Science Foundation. http://www.temple.edu/CETP/temple_teach/cm-space.html

აქ წარმოდგენილია რამდენიმე საკითხი, რომელზეც უნდა იფიქროთ, როდესაც თქვენს მოსწავლეებთან ერთად საკლასო სივრცეს აწყობთ

- სასწავლო მასალა და სასწავლო რესურსები
- წიგნები და სხვა სასწავლო მასალები უნდა იყოს ადვილად მისაწვდომი და აქტივობის დასრულების შემდეგ მარტივად შესანახი;
- მოსწავლეს, სხვა მოსწავლის შეწუხების გარეშე უნდა ქონდეს მისაწვდომობა ისეთ მასალაზე, როგორიცაა ცარცი, სახაზავები, ქაღალდი, საღებავი და მაკრატელი.
- სასწავლო მასალების მსგავსად, სასწავლო ხელსაწყოები, როგორიცაა პორტატული დაფები, მოლბერტები, ფლიპჩარტის ქაღალდი და სამუშაო მაგიდები უნდა ინახებოდეს ისე, რომ საჭიროების დროს იყოს ადვილად ხელმისაწვდომი, მაგრამ არ იყოს ხელისშემშლელი და გადატვირთულ საკლასო ოთახებში არ დაიკავონ ძვირფასი ადგილი.



Adapted from: Classroom Management – Managing Physical Space. Collaborative for Excellence in Teacher Education (CETP), National Science Foundation. http://www.temple.edu/CETP/temple_teach/cm-space.html

აქ წარმოდგენილია რამდენიმე საკითხი, რომელზეც უნდა იფიქროთ, როდესაც თქვენს მოსწავლეებთან ერთად საკლასო სივრცეს აწყობთ.

- მოსწავლეთა ნამუშევრები
- მოსწავლეთა ნამუშევრების შეგროვება და შენახვა, წინასწარი გეგმის გარეშე, შეიძლება გახდეს დიდი სირთულე. ზოგიერთი მასწავლებელი ამისთვის იყენებს ინდივიდუალურ საქაღალდეებს.
- საქაღალდე შეიძლება შეიქმნას თითოეული მოსწავლისთვის და თითოეული მოსწავლის თითოეული საგნისთვის ან მოსწავლეთა ჯგუფებისთვის. საჭიროა სივრცე მოსწავლეთა ნამუშევრების გამოსაფენად.
- ეს სივრცე შეიძლება იყოს კედელი ან გაბმული თოკები, რომლებზეც თითოეული მოსწავლის ნამუშევარი დამაგრებულია სარჭებით, ლენტით ან ჭიკარტით.
- ოთახის გაფორმება მოსწავლის ნამუშევრებით გახდის მას უფრო მიმზიდველს და მეგობრულს, მაშინაც კი, თუ კლასში ბევრი ბავშვია.



Adapted from: Classroom Management – Managing Physical Space. Collaborative for Excellence in Teacher Education (CETP), National Science Foundation. http://www.temple.edu/CETP/temple_teach/cm-space.html

აქ წარმოდგენილია რამდენიმე საკითხი, რომელზეც უნდა იფიქროთ, როდესაც თქვენს მოსწავლეებთან ერთად საკლასო სივრცეს აწყობთ

- მოსწავლეთა ჩართულობა
- მოსწავლეებს შეუძლიათ დიდი დახმარება გაგიწიონ საკლასო ოთახის ფიზიკური სივრცის მართვაში და ეს მათ ეხმარება პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებაში.
- მათ შეუძლიათ გამოფინონ მოსწავლეთა ნამუშევრები, აწარმონ საინფორმაციო დაფები და ყოველი გაკვეთილის ბოლოს შეინახონ სასწავლო მასალა.
- მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ სივრცის პრობლემების გადაჭრაში დახმარება.
- როდესაც პრობლემა წარმოიქმნება, მაგალითად, სტუდენტები ეჯახებიან ერთმანეთს ან არ არის საკმარისი ადგილი დასაჯდომად, სთხოვეთ მათ შემოგთავაზონ პრობლემის გადაჭრის გზები.



Adapted from: Classroom Management – Managing Physical Space. Collaborative for Excellence in Teacher Education (CETP), National Science Foundation. http://www.temple.edu/CETP/temple_teach/cm-space.html

გახსოვდეთ

- კარგი დისციპლინა და მოსწავლეთა პოზიტიური ქცევა ფორმირდება მაშინ, როცა თქვენი კლასი და მისი აქტივობები სტრუქტურირებულია ან მონყობილია იმისთვის, რომ გააძლიეროს მოსწავლებსა და და მოსწავლე-მასწავლებელს შორის თანამშრომლობითი ქცევა.

დისციპლინის გაუმჯობესებაზე მიმართული სტრატეგიები განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისათვის

- იყავი თანმიმდევრული. ...
- შეიტყვეთ ბავშვის მდგომარეობის შესახებ ყველაფერი. ...
- განსაზღვრეთ მოლოდინები ...
- გამოიყენეთ ჯილდოები ...
- გამოიყენეთ აშკარა და მარტივი შეტყობინებები. ...
- გამოიყენეთ შექება ...
- ჩამოაყალიბეთ რუტინა. ...
- გჯეროდეთ ყოველი ბავშვის.

წამახალისებელი სტრატეგიები

- კლასში დადებითი ემოციური ტონის შენარჩუნება. როგორ ექცევით და როგორ რეაგირებთ თქვენს მოსწავლეებზე, აისახება მათ ქცევაზე.

- მოსწავლისადმი ყურადღების გამახვილება პოზიტიური ქცევის გაზრდის მიზნით. მოზრდილი ბავშვებისთვის ყურადღება მოიცავს დაინტერესებას მათი პირადი ცხოვრებით, სასკოლო აქტივობებით და ნებისმიერი სხვა საქმიანობით, რომელიც მათ აინტერესებთ.
- ყოველდღიური აქტივობებისა და ურთიერთქმედებების რეგულარული რუტინის სახით თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა, რათა მოულოდნელი, ნეგატიური გამოცდილება ნაკლებად სტრესული გახდეს.
- მსგავს ქცევის სიტუაციებზე თანმიმდევრული რეაგირება - როგორც პოზიტიური ისე ნეგატიური -, რათა ხელი შეუწყოს მასწავლებელ-მოსწავლის უფრო ჰარმონიულ ურთიერთობას და მოსწავლის უფრო პოზიტიურ შედეგებს.

ადაპტირებულია: პედიატრიის ამერიკული აკადემია. სახელმძღვანელო ეფექტური დისციპლინისთვის. http://aappolicy.aappublications.org/cgi/content/full/ pediatrics;101/4/723

წამახალისებელი სტრატეგიები

- იყავით მოქნილი, განსაკუთრებით უფროს ბავშვებთან და მოზარდებთან. მოუსმინეთ მათ მიზეზებს თქვენი მოთხოვნების ან საკლასო წესების შესრულების ან შეუსრულებლობის შესახებ და იპოვეთ გამოსავალი. ეს აჩვენებს, რომ თქვენთვის ღირებულია თქვენი მოსწავლის შეხედულებები, რამაც შესაძლოა შეამციროს არასწორი ქცევის შემთხვევები მომავალში. უფრო მეტიც, გადაწყვეტილების მიღებაში მოსწავლის ჩართვა დაკავშირებულია მორალური განსჯის გრძელვადიან გაძლიერებასთან.
- შეცდომების დაშვება ნორმალურია. უთხარით თქვენს მოსწავლეებს: „ჩვენ მხოლოდ შეცდომით ვსწავლობთ. შეცდომებს ყოველდღე ვუშვებ. ასე რომ, მოდით, თავიდან ვცადოთ!” ეს ქმნის ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ თანამშრომლობას სწავლისთვის.
- ნდობის ჩამოყალიბება. ხელი შეუწყეთ პოზიტიურ თვითშეფასებას. სთხოვეთ თითოეულ თქვენს მოსწავლეს ისაუბროს საკუთარ ძლიერ მხარეზე, არ აქვს მნიშვნელობა რა იქნება ეს. შემდეგ გამოიყენეთ მათი პასუხები თქვენს გაკვეთილებზე; ჩართეთ ისინი სწვალების პროცესში.

ადაპტირებულია: პედიატრიის ამერიკული აკადემია. სახელმძღვანელო ეფექტური დისციპლინისთვის. http://aappolicy.aappublications.org/cgi/content/full/ pediatrics;101/4/72

წამახალისებელი სტრატეგიები

- ფოკუსირება წარსულ წარმატებებზე. მოსწავლე, რომელიც თავს არაადეკვატურად გრძნობს ან ეშინია წარუმატებლობის, შეაქეთ ბოლო გამოცდის ნიშნისთვის (არ აქვს მნიშვნელობა როგორი იყო ის) და წაახალისეთ, რომ შემდეგ ჯერზე უკეთესად შეძლოს. შესთავაზეთ მათ სპეციალური მხარდაჭერა ან დამატებითი კლასგარეშე სამუშაოები და შემდგომი დაკვირვება.

- გახადეთ სწავლება აზრიანი. შეცვალეთ თქვენი სასწავლო მეთოდები. გეომეტრიულ ფორმებზე გაკვეთილის ნაცვლად, დაყავით თქვენი მოსწავლეები მცირე ჯგუფებად და სთხოვეთ, 15 წუთში იპოვონ იმდენი განსხვავებული ფორმა სკოლასა თუ მის გარშემო რამდენსაც შეძლებენ. გამარჯვებული ჯგუფი იღებს მცირე პრიზს!

- ადაპტირებულია: პედიატრიის ამერიკული აკადემია. სახელმძღვანელო ეფექტური დისციპლინისთვის. http://aappolicy.aappublications.org/cgi/content/full/ pediatrics;101/4/72

იყავით თანმიმდევრული

- *დისციპლინა თანაბრად მნიშვნელოვანია, აქვს თუ არა ბავშვს განსაკუთრებული საჭიროებები.*
- *სინამდვილეში, ბავშვები, რომლებსაც უჭირთ სწავლა, ძალიან კარგად რეაგირებენ დისციპლინასა და სტრუქტურაზე. მაგრამ ამისათვის, უფროსებმა პრიორიტეტად უნდა დააყენონ დისციპლინა და იყვნენ თანმიმდევრულნი.*
- *ბავშვების დისციპლინა გულისხმობს სტანდარტების დადგენას- იქნება ეს დილის რუტინის დაწესება თუ მეცადინეობის დროს ქცევა. ყველა ბავშვს, განურჩევლად მათი საჭიროებისა და შესაძლებლობებისა, სწყურია ეს თანმიმდევრულობა. როდესაც მათ იციან თუ რა მოხდება დღის განმავლობაში, თავს თავდაჯერებულად და უსაფრთხოდ გრძნობენ.*
- *დიახ, ისინი შეამოწმებენ ამ სტანდარტებს - ყველა ბავშვი ამას აკეთებს. მაგრამ თქვენი გადასაწყვეტია, დაადასტუროთ, რომ ეს სტანდარტები მნიშვნელოვანია და აგრძნობინოთ ბავშვს, რომ გჯერათ ის მიყვება მათ.*

შეიცნოთ ბავშვის სპეციალური საჭიროება

- ბავშვის ქცევის გასაგებად, თქვენ უნდა გესმოდეთ რა ახდენს გავლენას მის ქცევაზე - მათ შორის მის მდგომარეობაზე. არ აქვს მნიშვნელობა რა გამოწვევის წინაშე აღმოჩნდება ბავშვი, შეეცადეთ რაც შეიძლება მეტი გაიგოთ სამედიცინო, ქცევითი და ფსიქოლოგიური ფაქტორების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ მის განვითარებაზე.
- წაიკითხეთ ყველაფრი ბავშის მდგომარეობის შესახებ, განსაკუთრებით რაც არ გესმით. ესაუბრეთ ბავშვის საგანმანათლებლო და მზრუნველი გუნდის წევრებს და სხვა მშობლებს (განსაკუთრებით მათ, ვის შვილებსაც აქვთ მსგავსი პრობლემები), რათა დაგეხმარონ დაადგინოთ, არის თუ არა ბავშვის რთული ქცევა ტიპიური ან დაკავშირებული მის ინდივიდუალურ გამოწვევებთან.
- თუ გიჭირთ უფროსების პოვნა, რომლებთაც ყავთ მსგავსი გამოწვევების მქონე ბავშვი, იფიქრეთ მასწავლებლებისთვის, სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების ოჯახებისთვის ონლაინ მხარდაჭერის ან ადვოკატირების ჯგუფებზე. მას შემდეგ რაც გაიგებთ, რა არის ტიპიური ქცევა ბავშვის ასაკისა და ჯანმრთელობის გამოწვევებისთვის, შეგიძლიათ შექმნათ რეალისტური ქცევითი მოლოდინები.
- სოციალურ ქსელებში ბევრი ასეთი ჯგუფია.

მოლოდინების განსაზღვრა

- წესების და დისციპლინის დაწესება ნებისმიერი მასწავლებლისთვის გამოწვევაა.
- ასე რომ, შეინარჩუნეთ თქვენი ქცევის გეგმა მარტივი სახით და იმუშავეთ ერთ გამოწვევაზე.
- და როცა ბავშვი ქცევით ერთ-ერთ მიზანს აღწევს, მას შეუძლია იბრძოლოს შემდეგისთვის.

გამოიყენეთ ჯილდოები და წახალისება

- იმუშავეთ სისტემით, რომელიც მოიცავს ჯილდოებს (დადებით გაძლიერებას) კარგი ქცევისთვის და ბუნებრივ შედეგებს ცუდი ქცევისთვის. ბუნებრივი შედეგები არის სასჯელები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ქცევასთან. მაგალითად, თუ ბავშვი საჭმელს ისვრის, მოაშორებთ თეფშს.
- მაგრამ ყველა ბავშვი არ რეაგირებს ბუნებრივ შედეგებზე, ასე რომ თქვენ შეიძლება დაგჭირდეთ შედეგის შედარება ბავშვის ღირებულებებთან. მაგალითად, აუტიზმის მქონე ბავშვს, რომელსაც უყვარს მარტოობა, და რომლისთვისაც ე.წ. „ტაიმ-აუტი“ წახალისებაა ამის ნაცვლად შეიძლება, ჩამოაცილოთ საყვარელ სათამაშოს ან ვიდეო თამაშს გარკვეული პერიოდის განმავლობაში.
- მას შემდეგ, რაც შენიშვნა მიეცით ბავშვს რაიმეს არასწორად ჩადენის გამო, შესთავაზეთ ალტერნატიული ქცევა. ასე რომ, თუ ბავშვი ზედმეტად ხმამაღლა საუბრობს ან გირტყამთ რომ ყურადღება მიიქციოს, იმუშავეთ ამ ქცევის სათანადო ქცევით ჩანაცვლებაზე. მაგალითად გითხრათ ან მიგანიშნოთ - “დამეხმარე“ , ან მიიპყროს თქვენი ყურადღება მხარზე ხელის დადებით.
- აქტიური იგნორირება კარგი შედეგია არასწორი ქცევისთვის, რომელიც თქვენი ყურადღების მიქცევას ისახავს მიზნად. ეს ნიშნავს, არ წაახალისოთ ცუდი საქციელი თქვენი ყურადღებით.

გამოიყენეთ მკაფიო და მარტივი მეტყობინებები

- აცნობეთ ბავშვს თქვენი მოლოდინები მარტივი გზით.
- სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებთან შესაძლოა მეტი ძალისხმევა დაგჭირდეთ, ვიდრე უბრალოდ თქმა. შესაძლოა დაგჭირდეთ სურათების, როლური თამაშების ან ჟესტების გამოყენება, რათა დარწმუნდეთ, რომ ბავშვმა იცის, რისკენ ისწრაფვის.
- შეინარჩუნეთ მარტივი, მკაფიო და თანმიმდევრული ვერბალური და ვიზუალური ენა.
- რაც შეიძლება მარტივად ახსენით როგორ ქცევას მოელით მათგან.
- თანმიმდევრულობა არის მთავარი, ასე რომ დარწმუნდით, რომ სხვა ზრდასრულები და განსაკუთრებით სხვა მასწავლებლები ყველანი იყენებენ ერთსა და იმავე გზავნილებს.

შეაქეთ

- წაახალისეთ მიღწევები, შეახსენეთ მოსწავლეებს იმის შესახებ, თუ რა შეუძლიათ გააკეთონ თქვენ მიერ დასახული მიზნების მისაღწევად, იქნება ეს სტიკერების მიღება, ტელეფონით ან კომპიუტერით სარგებლობა თუ საყვარელი სიმღერის მოსმენა.
- და აუცილებლად შეაქეთ და დააჯილდოვეთ მოსწავლე ძალისხმევისთვის და ასევე წარმატებისთვის.
- კიდევ ერთი სტრატეგია: ივარჯიშეთ „დროში“ – როცა შენიშნავთ მოსწავლე რაღაცას სწორად აკეთებს, შეაქეთ იგი ამისთვის მაშინვე, მყისიერად.

- რაიმეს სწორად გაკეთებისას ჯილდოს მიღებით, მათ სავარაუდოდ ამის გამეორების სურვილი გაუჩნდებათ.

ჩამოაყალიბეთ რუტინა

- სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეები განსაკუთრებით კარგად რეაგირებენ დისციპლინაზე, რომელიც დაფუძნებულია ზუსტად იმის ცოდნაზე, თუ რა მოხდება შემდეგ.
- ამიტომ შეეცადეთ დაიცვან ერთი და იგივე რუტინა ყოველდღე.
- დიაგრამები შეიძლება სასარგებლო იყოს.
- თუ მოსწავლე არის არავერბალური ან პრევერბალური, დახატეთ ნახატები ან გამოიყენეთ სტიკერები, რათა მიუთითოთ რა მოხდება შემდეგ.
- შექმენით რეალისტური განრიგი და წაახალისეთ მოსწავლის ჩართულობა, საჭიროების შემთხვევაში.

მოაწყეთ გარემო, რათა შეამციროთ მოსწავლის იმედგაცრუება ან სირთულეები

- მოსწავლის ქცევითი სირთულეები, რომლებიც შეიძლება მივიდეს შეუჩერებელ ტირილამდე და თანაკლასელების შეურაცხყოფამდე, შეიძლება იყოს განპირობებული მისი განსაკუთრებულ საჭიროებებით გამოწვეული იმედგაცრუებით.
- ზოგიერთი მაგალითი:
- შეამცირეთ საწერი მასალა, წერის პრობლემის მქონე მოსწავლეთათვის.
- ხმამაღლა კითხვისთვის გამოიყენეთ სხვა ალტერნატივა, კითხვის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთათვის.
- მოამზადეთ აუტისტი ბავშვი სკოლის რუტინაში ცვლილებებისთვის.
- მიეცით სმენის პრობლემის მქონე მოსწავლეს დამატებითი დრო ზეპირად წარმოდგენილი ინფორმაციის დასამუშავებლად.
- მიეცით მოკლე, მარტივი და მკაფიო ინსტრუქციები მოსწავლეს, რომელიც ნელი მსწავლელია ან კოგნიტური დარღვევა აქვს.

დაეხმარეთ მოსწავლეებს შეერიონ დანარჩენ ბავშვებს

იმის გამო, რომ სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლე შეიძლება გამოირჩეოდეს ჩვეულებრივ კლასში, მნიშვნელოვანია დაეხმაროთ მას მიკუთვნებულობის გრძნობის ჩამოყალიბებაში იმით, რომ მოეპყროთ მას, ისე როგორც დანარჩენ მოსწავლებს კლასში.

მიეცით მას იგივე პრივილეგიები ან ნივთები, რასაც აძლევთ სხვა მოსწავლეებს, დარწმუნდით, რომ ჩართეთ იგი თქვენს საკლასო რუტინაში და რომ შესაძლებლობებიდან გამომდინარე დაიცავს იმავე წესებს, როგორც სხვა მოსწავლეები.

იპოვნეთ მოსწავლის შექების შესაძლებლობა

- მოსწავლე შესაძლოა იმედგაცრუებული იყოს თავისი ნაკლოვანებებით და ჭირდებოდეს ემოციური მხარდაჭერა. გულწრფელად შეაქეთ იგი თავისი მიღწევებისთვის თანაკლასელების თანდასწრებით (ან პირადად, თუ ფიქრობთ, რომ შერცხვება საჯაროდ ქების)
- გაითვალისწინეთ, რომ მისი მიღწევები შეიძლება არ იყოს ისეთივე ფორმის, როგორც სხვა მოსწავლეების.
- მცირე ნაბიჯები შეიძლება წარმოადგენდეს გიგანტურ ნახტომებს სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვისთვის.

გჯეროდეთ თქვენი სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების

- *თუ თქვენი პატარა პირველი ნაბიჯების გადადგმისას ძირს დაეცემა, მიაწოდებთ მას ყავარჯნებს ან ეტლს? არა. ასე რომ, არ გააკეთოთ იგივე სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთან. შესაძლოა, ბავშვმა ვერ შეძლო რაიმეს გაკეთება პირველად ან მეათეჯერ, მაგრამ აგრძელებს მცდელობას. წაახალისეთ ეს!*
- *როდესაც გჯერათ, რომ ბავშვს შეუძლია რაღაცის გაკეთება, თქვენ აძლევთ მას უფლებას მიაღწიოს ამ მიზანს. იგივე ეხება ქცევას.*
- *მაგალითად, თუ ბავშვი ზედმეტად აგრესიულია სხვა ბავშვებთან თამაშის დროს, არ შეწყვიტოთ ერთობლივი თამაშები. ამის ნაცვლად, იმუშავეთ ბავშვთან, რათა შემცირდეს თამაშის ფიზიკური დატვირთვა. შეიძლება დაგჭირდეთ დაგეგმოთ არაფიზიკური აქტივობები თამაშისას, როგორიცაა ხელოვნებისა და ხელოსნობის პროექტები.*
- *სადაც საჭიროა გამოიყენეთ ,, ტაიმ-აუტის, იძულებითი მორიგეობის და „არ შეეხო“ წესის დისციპლინა - და დააჯილდოვეთ, როდესაც თქვენი სურვილები დაკმაყოფილდება.*
- *არ დანებდეთ, როცა საქმე რთულდება. ცუდი ქცევა, რომელიც იგნორირებულია ადრეულ წლებში, მოზარდობისა და ზრდასრულ ასაკში შეიძლება გახდეს აუტანელი, საშიშიც კი.*
- *იყავით მომთმენი და დაუთმეთ დრო მოსწავლეებთან მუშაობას, რათა დაეხმაროთ მათ საუკეთესო პოტენციალის მიღწევაში.*
- *თქვენი ნდობა ზოგჯერ არის ყველაფერი, რაც ბავშვს სჭირდება წარმატებისთვის.*

ენდეთ საკუთარ შესაძლებლობებს

- დისციპლინა დამღლელი საქმეა.
- იქნება კარგი დღეები, როდესაც გაოცდებით მოსწავლის პროგრესით, იქნება ცუდი დღეები, როცა გეჩვენებათ, რომ მთელი თქვენი ძრომა წყალშია ჩაყრილი და როგორც ჩანს, შემდგომი პროგრესი შეუძლებელია.
- მაგრამ გახსოვდეთ ეს: ქცევის მენეჯმენტი გამოწვევაა ყველა მასწავლებლისთვის, რომელიც მუშაობს მოსწავლესთან, თუნდაც იმ ბავშვებისთვის, რომლებიც ტიპურად ვითარდებიან.
- ასე რომ არ დანებდეთ! ☺

წყაროები

- Positive discipline in the inclusive, learning-friendly classroom: a guide for teachers and teacher educators https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000149284

- Disciplining Students With Disabilities (wrightslaw.com)

- Nelsen, J., Foster, S., & Raphael, A. (2011). *Positive discipline for children with special needs: Raising and teaching all children to become resilient, responsible, and respectful*. Harmony.

- Positively effective discipline for special needs kids
- https://www.newyorkfamily.com/positively-effective-discipline-for-special-needs-kids/

- Disciplining Your Child With Special Needs https://www.hopkinsallchildrens.org/Patients-Families/Health-Library/HealthDocNew/Disciplining-Your-Child-With-Special-Needs

- Positive discipline in the inclusive, learning-friendly classroom: a guide for teachers and teacher educators - UNESCO Digital Library
- 11 Classroom Management Strategies for Children with Special Needs (stageslearning.com)

Positive Discipline for Kids with Special Needs | Different Dream Living

Thank you for your attention! ☺
გმადლობთ ყურადღებისთვის